„თუ ილუზიების ტყვეობაში დავრჩით, საკუთარი ქვეყანა სანატრელი გაგვიხდება“



*რუსეთ-საქართველოს აგვისტოს შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე დააყენა. იყო ეს მიზანმიმართული პროვოკაცია თუ ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი, ამაზე პასუხს დრო გასცემს. დღეს კი ფაქტი ერთია - საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა ტერიტორიები და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვალი ჯერჯერობით არ ჩანს. როგორ აისახა ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკაზე, რა გაკვეთილები მივიღეთ ომიდან და როგორ უნდა მოხდეს ქართული ეკონომიკის ომისშემდგომი რეაბილიტაცია, ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ბატონი **დემურ გიორხელიძე.***

„ბიზნესი და კანონმდებლობა“: – როგორ აფასებთ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოში დაწყებულ მოვლენებს — იყო თუ არა ეს მიზანმიმართული პროვოკაცია, რომელსაც საქართველო დაუფიქრებლად წამოეგო და ვის მიერ იყო იგი ინსპირირებული? ვინ მოიგო და ვინ წააგო ამ შეიარაღებული დაპირისპირებით, ვგულისხმობ ამერიკას, ევროპასა და რუსეთს, რადგან საქართველომ რომ ყველა ფრონტზე წააგო, ეს ფაქტია?

დემურ გიორხელიძე: – ვფიქრობ, რომ 8 აგვისტოს მოვლენები საქართველოში განსაკუთრებული სიღრმითაა გასააზრებელი და მისგან გამომდინარე შედეგების აღქმა ჩვენმა საზოგადოებამ (ყოველ შემთხვევაში, კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოებამ) უნდა შეძლოს, რადგან ის, რაც დღეს ხდება, არის აბსოლუტურად აცდენილი იმ ჩარჩო მიმართულებებს, რომელშიც მოვლენები ვითარდება და ეს კარგს არაფერს უქადის საქართველოს. ცხადია, დამოუკიდებელი ქვეყნის ოკუპაცია, დღევანდელ მსოფლიოში ვერ დარჩებოდა რეაგირების გარეშე. ის შედეგები, რაც დადგა და ის მოვლენები, რაც 8 აგვისტოს განხორციელებულ ქმედებებს მოჰყვა, მსოფლიო მასშტაბისაა. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ დღეს ფაქტობრივად ყველა დიდი სახელმწიფო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და შეთანხმდნენ რაღაც ახალ წესრიგზე, ურთიერთობათა ახალ სისტემაზე. საქმე იმაშია, რომ ინსტიტუტები, რომლებიც ადრე საერთაშორისო სტაბილურობას უზრუნველყოფდა, აღარ მუშაობს. ამდენად, გადაჭარბებული სიხარულის საფუძველი ნამდვილად არა გვაქვს. გამომდინარე აქედან, ომისშემდგომ განვითარებული მოვლენები მიუთითებს, რომ საქართველო არ მიიღებს ისეთ ცალსახა მხარდაჭერას, რომელმაც შეიძლება საერთაშორისო სტაბილურობას შეუქმნას საფრთხე. თუ შედეგებს გადავხედავთ, ერთი რამ ცხადია – ჩვენ წავაგეთ. შექმნილმა პრობლემებმა სრულიად ახალი ტენდენციები გააჩინა ევროპის პოლიტიკაში და ეს უდავოდ კარგია. აშშ, რომელიც დღევანდელ სიტუაციაში ცოტა დისტანცირებულია ამ მოვლენებისგან, ალბათ მოძებნის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გზებს ევროპასთან, თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ შეერთებულ შტატებს ამ მოვლენით არაფერი მოუგია. პირიქით, ისინი საკმაოდ უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რადგან მათი განცხადებები და პრეტენზიები რეალურ სიტუაციაში არაადეკვატური აღმოჩნდა და სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყო – რადგან სხვანაირი ნიშნავდა იმას, რომ უნდა დაწყებულიყო დიდ სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, თანაც ეს ჩვენს ტერიტორიაზე შეიძლებოდა მომხდარიყო.

„ბ.კ.“: – ევროპა აქტიურად საუბრობდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე, თუმცა, მოგვიანებით ამაზე საუბარმა უკანა პლანზე გადაიწია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთთან ასეთი დაპირისპირება ევროპას უფრო დააზარალებდა, ვიდრე რუსეთს?

დ.გ.: – ის, რომ სიტყვიერ დონეზე ძალიან მკაცრი შეფასებები გაკეთდა, არ ნიშნავს იმას, რომ ევროპა თავქუდმოგლეჯილი გადაეშვებო-

და რაღაც სანქციების დაწესებაში, ცივილიზებული მსოფლიოსგან რუსეთის იზოლაციის პროცესში და ა.შ. ეს ბუნებრივიცაა. ჯერ ერთი, ჩვენთან წლების განმავლობაში მიმდინარე ამ ანტირუსულმა ისტერიამ გარკვეული სტერეოტიპები ჩამოაყალიბა, რის შედეგადაც ჩვენ ვეღარ, თუ აღარ ვხედავთ რუსეთთან მიმართებაში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ყოველ შემთხვევაში, ქართულ მედიაში საუბარი ამაზე ნაკლებადაა. რეალობა კი ის გახლავთ, რომ რუსეთი საკმაოდ მჭიდროდაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკაში, დასავლურ სტრუქტურებში, ის დიდი სახელმწიფოა როგორც ტერიტორიულად, ისე ეკონომიკურად და, ამდენად, მისი დატუქსვის მექანიზმები, როდესაც საერთაშორისო სტაბილურობაზეა საუბარი, უბრალოდ არ არსებობს. ამის მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფოებს ერთმანეთის მიმართ ვალდებულებები გააჩნიათ, ისინი ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმით სარგებლობენ და იმ გამოწვევებში, რომლებიც დღეს ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე გაჩნდა, ერთმანეთის იმედი აქვთ. ამიტომ, აქ გაცილებით უფრო რთული ურთიერთობებია, ისინი ერთდროულად ერთმანეთის კონკურენტებიც არიან და ძალიან ძლიერი პარტნიორებიც. ეს რეალობაა. თუმცა, ევროპა თავს არ დაიზარალებს, ევროკავშირის ლიდერმა აკი ძალიან ცალსახად ჩამოაყალიბა გაერთიანებული ევროპის პოლიტიკა (მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპისაც), ევროპა ერთიანი პოზიციით გამოვიდა. აქ საუბარი იყო ურთიერთსარგებლიანობაზე, ურთიერთსაჭიროებაზე ევროკავშირსა და რუსეთს შორის და ჩვენ ზედმეტი ილუზიები არ უნდა გვქონდეს. ის, რომ ევროპა აუცილებლად იქნება საქართველოს მხარდამჭერი მისი ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, ეს ერთია, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თუკი ჩვენ არასწორ ნაბიჯებს გადავდგამთ, ევროპა ამის გამო თავს არ დაისჯის და ამ აყვავებულ და დალაგებულ უზარმაზარ სივრცეს არ დააყენებს ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე.



„ბ.პ.“: – რუსეთის მთავარი კოზირი ენერგორესურსებია, თუმცა ევროპელი ექსპერტები რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი სანქციებისგან თავის შეკავებას ერთი მოსაზრებით ხსნიან – რუსეთი ევროპის ნაწილად უნდა იქცეს, რადგან მისი იზოლაციაში მოქცევა მთელ მსოფლიოს შეუქმნის საშიშროებას. რამდენად ეთანხმებით ამ შეფასებას და ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ევროპა ფაქტობრივად აღიარებს რუსეთის ზესახელმწიფოებრიობას?

დ.გ.: – რაც შეეხება იმას, რომ რუსეთის იზოლაცია შეუძლებელი იყო, მე ამას კონფლიქტის პირველსავე დღეებში აღვნიშნავდი და ერთ-ერთმა პირველმა განვაცხადე, რომ სანქციების მოლოდინი საქართველოში გადაჭარბებულია. ამ დროს გამოვდიოდი იმ რეალობიდან, რომელიც არსებობს, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი სივრცის მოკვეთა ცივილიზებული სამყაროდან, როცა ამ სივრცეში არის უზარმაზარი წიაღისეული სიმდიდრეები, არსებობს თანამშრომლობის სერიოზულად აწყობილი და კარგად მომუშავე რგოლები. ამდენად, ხელაღებით ამ სივრცის დახურვა წარმოუდგენელი იქნებოდა. სხვათაშორის, ამაზე არც არავინ ფიქრობდა და არც დღეს ფიქრობს. თუკი ჩვენ სერიოზულად გავაანალიზებთ დასავლურ პრესას, იმ კრიტიკულ, საღ, ძალიან მაღალი დონის ადამიანების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, დავრწმუნდებით, რომ მათი დამოკიდებულება საკუთარი ხელისუფლებების მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყო, იმიტომ, რომ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში საერთაშორისო დონეზე განხორციელდა მთელი რიგი ქმედებები, რომლებმაც მოარყია სახელმწიფოთა შორის არსებული კარგად მომუშავე სქემები და მსოფლიო ცალმხრივად დააყენა ახალი რეალობების წინაშე. **დასავლეთის კრიტიკული წრეები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმას, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გადაწყვეტილება იყო ამერიკის ადმინისტრაციის სტრატეგიული შეცდომა თავისი შორს მიმავალი ნეგატიური შედეგებით. სამწუხაროდ, ჩვენ პირველები აღმოვჩნდით, ვინც ეს ნეგატიური შედეგები საკუთარ თავზე ვიწვნიეთ და ყველაზე საშიში, რასაც დღეს მე ვხედავ, არის ის, რომ დღეს დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც გაისმის, მოდით, ამით გავაჩეროთ ეს პროცესი.** გამოდის, ჯერჯერობით ჩვენ ვართ ამ პროცესის მსხვერპლი ერთადერთი ქვეყანა – ჩვენ დავკარგეთ (ყოველ შემთხვევაში, ფაქტობრივად) ტერიტორიები, რომელთა უკან დაბრუნების მექანიზმები სამწუხაროდ ჯერჯერობით არ ჩანს. ის, რომ ჩვენ შევწყვიტეთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, არაფერს არ ნიშნავს, რადგან დღეს ჩვენ ისე

გვჭირდება საუბარი ამ ქვეყანასთან, როგორც არასდროს, რადგან სწორედ მან ჩაგვაყენა ამ მდგომარეობაში. ის, თუ რატომ აღმოვჩნდით ამ სიტუაციაში, ეს ცალკე თემაა და ამას დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გაეცემა პასუხები. თუმცა, არა მგონია, ჩვენ აქ ძალიან დიდი შიდა რეზერვი გვქონდეს იმის დასადასტურებლად, რომ ყველაფერი აუცილებლად ისე უნდა გაკეთებულიყო, როგორც გაკეთდა. ასე რომ, უსერიოზულესი პრობლემა წარმოიქმნა და ეს ისეთი პრობლემაა, რომლის მოგვარებასაც ერთი და ორი წელი არ ეყოფა. ვშიშობ, რომ თუ ჩვენ ადეკვატურნი არ ვიქნებით არსებული რეალობისა, პროცესი შეუქცევადი გახდება და იმედი იმისა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ან კონგრესი რაღაც გადაწყვეტილებას მიიღებს და ევროკავშირი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დეკლარირებას გააკეთებს, სრულიად საკმარისი იყოს იმისათვის, რომ ვიღაც აგრესორი დაისაჯოს. არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით მე ცოტა გულისტკივილით ასეთ შედარებას გავაკეთებდი – ჩვენ იმ პატარა ბავშვის მდგომარეობაში ვართ, ვინმე რომ გალახავს და ატირებული, უფრო ძლიერის მოსაყვანად რომ გაიქცევა, გამლახავის შესაშინებლად. ასეთი ლოგიკა, ასეთი მიდგომები სერიოზულ პოლიტიკაში, რბილად რომ ვთქვათ, არ არის გამართლებული და რაც მთავარია, უშედეგოა. დღეს ცხადად მხოლოდ ერთი რამ ჩანს — ცეცხლი შეწყვეტილია, ახლა ყველაფერი უნდა დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რაც 8 აგვისტომდე იყო და შემდეგ უკვე ახალ რეალობაში (ხაზს ვუსვამ, ახალ რეალობაში) უნდა დავიწყოთ მოქმედებები. სამწუხაროდ, ეს ახალი რეალობა საქართველოში ჯერ სრულად გააზრებული არ არის, ჩვენ გვესმის გამარჯვების ყიჟინა, ვხედავთ საზეიმო განწყობილებას და გვაქვს სასიხარულო მოლოდინი იმისა, რომ საქართველოს მიმართულებით დიდი დახმარებები წამოვა. სამწუხაროდ, ეს დახმარებები აბსოლუტურად არ ცვლის იმ მდგომარეობას, რაც ჩვენს ტერიტორიულ დანაკარგებს ეხება და არ



განსაზღვრავს იმ მიმართულებას, რომლისკენაც სვლა ჩვენ უკეთესობამდე მიგვიყვანს. გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით დღეს უკვე სხვა პრობლემა გაჩნდა, სრულიად განსხვავებული იმისგან, რაც 1993 წლიდან იყო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

„ბ.კ.“: – თქვენ, მსოფლიო ახალ წესრიგზე საუბრობდით. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც განაცხადეთ, რომ ახალ მსოფლიო წესრიგში ყველაზე ფართოდ ინტეგრირებულნი იქნებიან ჩინეთი და ინდოეთი. რას უქადის ეს მსოფლიოს იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორი ქვეყანა საკმაოდ კარგად მეგობრობს რუსეთთან?

დ.გ.: – რაც შეეხება ჩინეთისა და ინდოეთის საკითხს, ეს არის აღტაცების მომგვრელი მაგალითები იმისა, თუ რას ნიშნავს ხელისუფლების სახელმწიფოებრივი მიდგომა საკუთარი სახელმწიფო ინტერესებისა და საკუთარი ხალხის მიმართ. მე ჩემი წარსული საქმიანობიდან გამომდინარე არ შემიძლია არ აღვფრთოვანდე იმ გრანდიოზული სახელმწიფო პროგრამებით, რომელიც ინდოეთში განხორციელდა განათლების სფეროში. ეს საკითხი სრულიად გაუაზრებელია საქართველოში და ჩვენ არც კი ვიცით, სად მიგვიყვანს ამ სფეროში ასეთი გაუაზრებელი ექსპერიმენტები. ინდოეთში კი ფანტასტიკური შედეგი სახეზეა და ეს მისი ცხოვრების ყველა სფეროზე დადებითად აისახა, მათ შორის ეკონომიკაზეც. ეს ორი ქვეყანა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდება. ლათინურ ამერიკაშიც გვაქვს ბრაზილიის საუცხოო მაგალითი და მინდა გითხრათ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების სრულიად დამოუკიდებელი და საღი განვითარების სურვილი იქეთკენ უბიძგებს მსოფლიოს, რომ თანდათან ეკონომიკური ცენტრი აღმოსავლეთისკენ ინაცვლებს. ლათინურ ამერიკაში ალბათ მალე წარმოიქმნება სერიოზული პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში სრულფასოვან მოთამაშედ იქცევა. ჩვენ, სამწუხაროდ, იგნორირებას ვუკეთებთ განვითარების ამ ტენდენციებს. ეს არის რეგიონალური ინტეგრაციის საკითხები. **ჩვენ ცალმხრივად გადავწყვიტეთ, რომ ერთადერთი გამოსავალი არის შესვლა, ევროკავშირის წევრობა (რაც საკმაოდ ბუნდოვანი და შორეული პერსპექტივაა ჩვენთვის), მაგრამ გამოგვრჩა ის, რომ ისეთ მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ სივრცეში, როგორიც კავკასიაა, ამ სამ ქვეყანას შეეძლო უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაემყარებინა ერთმანეთთან და ეს სივრცე მიმზიდველი გაეხადა როგორც დასავლეთის-**

თვის, ისე აღმოსავლეთისთვის. ჩვენ ხელიდან გავუშვით რეგიონალური ინტეგრაციის ეს სქემები. იყო ძალიან საუცხოო სქემა გუამ-ი, მაგრამ მისგან უზბეკეთის გამოსვლის შემდეგ, რაც ამერიკელების აშკარა შეცდომის შედეგი იყო (როცა იქაც რაღაც ფერადი რევოლუციის მოწყობა მოინდომეს), გუამ-ი ნელ-ნელა ჩაიფერფლა და ფაქტობრივად გაქრა, რაც არ არის კარგი. სამწუხარო ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიის ეს სამი ქვეყანა ერთმანეთში საერთო ენას უბრალოდ ვერ პოულობს, რითაც აზიანებს იმ საერთო ინტერესს, რაც ნაყოფიერი თანამშრომლობის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენ აღმოვჩნდით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში, როდესაც არა გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან და ეს მეზობელი ქვეყნები იწყებენ ალტერნატიული კავშირების ძიებას. ამის მაგალითად სომხეთის სრულიად გონივრული ნაბიჯებიც გამოდგება, რომელიც თავისი სახელმწიფოებრიობის უსაფრთხოების მიზანს ემსახურება. ეს სახეზეა, მე გახლდით რამდენიმე თვის წინათ სომხეთში, ერთ-ერთი ფონდის მიწვევით (ლექციების ციკლი უნდა წამეკითხა გეოპოლიტიკასა და ეკონომიკურ პროექტებთან დაკავშირებით). ერთი ლექციის ნაცვლად ოთხი ლექციის წაკითხვა მომიწია. მე იქ ვნახე საოცრად გონიერი ადამიანები, რომლებიც ღიად საუბრობენ საკუთარი ქვეყნის მომავალზე და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მრავალფეროვანი ხედვა აქვთ. ასეთ ხედვებს ჩვენ საქართველოში ვერ ვხედავთ და საერთოდ დისკუსიაც კი შეწყვეტილია ამ თემაზე. ხელისუფლებას მონოპოლიზებული აქვს ყველა ინსტიტუტი და ამ მონოპოლიზაციის შედეგი სახეზეა – იკარგება საღი აზრი და რაღაც ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც კარგი შედეგის მომტანი არასდროს არ იქნება.

„ბ.პ.“: – ბ-ნო დემურ, აგვისტოს ომმა მნიშვნელოვანწილად დააზარალა ბიზნესი, ვგულისხმობ არა მხოლოდ საომარი მოქმედების გამო გაჩენილ წყვეტას, არამედ ხელისუფლების პირდაპირი დირექტივით მის იძულებით ჩაბმას ომისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესში. რა მოელის ასეთ პირობებში ქართულ ბიზნესს და როგორ აისახება ეს ომი საქართველოში არსებულ ისედაც არასაიმედო საინვესტიციო გარემოზე?

დ.ბ.: – აგვისტოს მოვლენების შემდეგ რომ ბიზნესი და ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამას განსაკუთრებული ახსნა არ სჭირდება. შესაძლებელია თუ არა ამ მდგომარეობიდან სწრაფი გამოსვლა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ მე ვერ ვხედავ მთავრობის მხრიდან ჩამოყალიბებულ პოლიტიკას იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას აპირებენ სიტუაციის გასაუმჯობესებლად. **გაჩნდა ახალი ილუზია, ახალი იმედი, რომ თითქოს ჩვენი მხრიდან არაფრის გაკეთება არ არის საჭირო, აი, ახლა დასავლეთი დაგვეხმარება, შეიქმნება საქართველოსთვის მარშალის გეგმა, შემოვა დიდი ფული, ჩვენ მალე ავყვავდებით და სხვა. მე ეს ყველაფერი ნაცარქექიას ოცნებებს მაგონებს, რადგანაც ამ ადამიანებმა, როგორც ჩანს, კარგად არ იციან მარშალის გეგმის შინაარსი და არც ის გავლენა, რაც მან დასავლეთის ეკონომიკურ წინსვლაზე იქონია.** მარშალის გეგმა ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკის ფეხზე დაყენების პროცესში სულაც არ იყო გადამწყვეტი ან ყველაზე მნიშვნელოვანი. საერთოდ, დასავლეთ ევროპის ომისშემდგომ აღორძინებაში მარშალის გეგმის საბოლოო გავლენა 10-15%-ის ფარგლებში შეიძლება შეფასდეს. დანარჩენი, ეს იყო გონიერი ხელისუფლებები, გონიერი ეკონომიკური პოლიტიკა და უზარმაზარი პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე, რაც ჯერ მისი მაღალი სტანდარტების სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში, შემდეგ კი ამ სტაბილურობის შენარჩუნებაში გამოიხატა. **აქ მთავარია სახელმწიფო პოლიტიკა, ორიენტირებული საკუთარი ხალხის ნიჭისა და უნარის განვითარებაზე. მოტივირებულმა გერმანელმა, მოტივირებულმა ფრანგმა და ა.შ დააყენა ეს ქვეყნები ომის შემდეგ ფეხზე და არა მარშალის გეგმამ. ჩვენ თურმე შეგვიძლია მოსახლეობის 55% უმუშევარი გვყავდეს და ერთმა, გნებავთ ხუთმა ან შვიდმა მილიარდმა დააყენოს ქვეყანა ფეხზე**. საქართველოს ტოლფასი ტერიტორია, ოღონდ კუნძულების სახით, გააჩნია დანიას, მაგრამ მისი სახელმწიფო ბიუჯეტი 120 მილიარდი დოლარია. ჩვენ ისევ გროშებზე ვლაპარაკობთ, იმდენად გაღარიბებულია ქვეყანა, რომ 2,3 და 5 მილიონი ასტრონომიულ ციფრებად გვეჩვენება მაშინ, როცა იმავე დანიაში არაერთი ფირმა არსებობს, რომელთაც 7 და 10 მილიარდი ყოველწლიური შემოსავლები გააჩნია. ასე რომ, ჩვენ ამ რთულ მდგომარეობაშიც არაადეკვატურები ვართ არსებულ რეალობასთან მიმართებაში და არ ვახდენთ იმის გააზრებას, თუ როგორ ჩიხში აღმოვჩნდით და რა რეალური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო აქედან გამოსასვლელად.

„ბ.პ.“: – ომისშემდგომ დღეებში განსაკუთრებით გამოიკვეთა საბანკო კრიზისი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით ისედაც შექმნილი ჰქონდა პრობლემები (ვგულისხმობ ამერიკასა და ევროპაში შექმნილ იპოთეკურ კრიზისს, რამაც ბოლო პერიოდში საქართველოს საბანკო სისტემაზეც ჰპოვა ასახვა). ცალკე საკითხია, რამდენად ნეგატიურად აისახა ბიზნესზე ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შეჩერება?

დ.ბ.: – ომის წინა პერიოდში საბანკო სისტემაში შექმნილ პრობლემებზე საუბარი ღიად მიმდინარეობდა და ამას თავისი გამომწვევი მიზეზები ჰქონდა. მე საბანკო სექტორში წარმოქმნილ პრობლემებზე ივლისის თვეში საკმაოდ ბევრი ვისაუბრე და პირდაპირ აღვნიშნე, რომ საბანკო სისტემის ის მოდელი, რომელიც საქართველოში ვითარდება, ქართულ ეკონომიკას აუცილებლად შეიყვანს ჩიხში. ფაქტობრივად აგვისტოს მოვლენები რომც არ ყოფილიყო, საბანკო სისტემა უკვე სექტემბერ-ოქტომბერში მაინც შევიდოდა ჩიხში. მთავარია, საბანკო სექტორი



იმ ამოცანებზე იყოს ორიენტირებული, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას და მისი ეკონომიკის აღორძინებას ემსახურებოდეს. არ შეიძლება ისეთ უნივერსალურ საბანკო სისტემაზე საუბარი, რომელსაც მხოლოდ ქვეყნის გარეთ რაიმე მიმართულებაზე ექნება ორიენტაცია აღებული. **არადა, ქვეყნის შიგნით ორიენტირებაზე ჩვენს საბანკო სისტემას არაფერი ეტყობა, რადგან ის საშინელი პროტექციონიზმი, რომელიც ქართულ საბანკო სისტემაში არსებობს, ის აბსოლუტურად არალოგიკური შერჩევა ბიზნესპროექტებისა, რომლებიც ფინანსდება, იმ პირობებში, როდესაც რაიმე პროექტის დასაფინანსებლად ძლიერი გავლენის მქონე ადამიანის მხარდაჭერა, ანდა ბანკში შიდა ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პირის დაინტერესებაა აუცილებელი, ასეთი საბანკო სისტემით შორს წასვლა არ შეიძლება. ასეთი სისტემა აფერხებდა და მომავალშიც, თუ არაფერი შეიცვალა, შეაფერხებს ათი ათასობით ენერგიული, საქმიანი ქართველის ეკონომიკურ აქტივობას, რომელსაც ხელი არ მიუწვდება საბანკო კრედიტებზე.** საქმე იმაშია, რომ ამ კრედიტის აღება დაკავშირებულია ისეთ სირთულეებთან, რომლის გადალახვაც ძალიან ბევრისთვის ფაქტობრივად შეუძლებელია.

„ბ.კ.“: – ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, თანდათან იზრდება სამომხმარებლო ფასები. რა ზეგავლენას იქონიებს ამ პროცესზე აგვისტოს ომი და ხომ არ არსებობს ქვეყანაში სასურსათო კრიზისის შექმნის საშიშროება, რასაც ავტომატურად მოჰყვება სოციალური კრიზისი?

დ.გ.: – სამომხმარებლო ფასები უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც იზრდება. საქართველოში საკმაოდ მაღალია ინფლაცია, თვით ოფიციალური მონაცემებიც კი ვერ მალავს ამ ფაქტს. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი 11%-ია და ეს არ არის რეალური ციფრი. ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს სავაჭრო ქსელიდან ქრება მთელი რიგი პირველადი მოხმარების საქონელი, ამას განსაკუთრებით დიასახლისები გრძნობენ. დარჩენილ პროდუქციაზეც ფასები შესამჩნევად იმატებს. ბუნებრივია, ეს არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რაღაც ჩანაცვლებები უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფასების ზრდას ვერანაირი ადმინისტრირება ვერ შეაჩერებს. რაც ყველაზე ცუდია, დეფიციტი არ უნდა გაჩნდეს. ამის საშიშროება, ვფიქრობ არ არის. მგონია, მალე მოიძებნება ალტერნატივები, რადგან საქონლის საკმაოდ დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოდიოდა. ალბათ ეს საქონელი ჩანაცვლდება, ამას ცოტა დრო სჭირდება. ფაქტია, რომ ამ გაჭირვების დროს ფასების მატება (და ეს არ არის 5 და 10 პროცენტი) აბსოლუტურად დაუშვებელია და ეს დამატებით პრობლემებს უქმნის ჩვენს მოქალაქეებს. ვფიქრობ, სოციალური კრიზისის საშიშროება არ უნდა შეგვექმნეს.

„ბ.კ.“: – ქართული ეკონომიკა აქამდე რუსულ ბაზარზე იყო ორიენტირებული. როგორ ფიქრობთ, როგორი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს საქართველომ დსთ-დან გამოსვლისა და რუსეთთან დიპლომატიური კავშირების გაწყვეტის პირობებში, ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსისაგან რომ იხსნას?

დ.გ.: – რაც შეეხება ქართული ეკონომიკის რუსეთის ბაზარზე ორიენტირებას, ეს ბუნებრივად იყო საბჭოთა ეკონომიკიდან გამომდი-

ნარე. თუმცა, რუსული ბაზარიც უკვე აღარ არის ის ბაზარი, რაც საბჭოეთის დროს იყო. დღეს რუსულ ბაზარზე მსოფლიოს თითქმის ყველა მთავარი მწარმოებელია დაფუძნებული, ეს ბაზარიც იცვლება და იგი საკმაოდ კონკურენტული გახდა. ამდენად, ასეთი მოცულობითი ბაზარი ნებისმიერი ეკონომიკისთვის თავისთავად ძალიან კარგია. თქმა იმისა, რომ რუსული ბაზრის დაკარგვა საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან სასიხარულო და კარგია, აბსოლუტური სისულელეა. მაგრამ რაკი ამ რეალობის წინაშე ვდგავართ, ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ და მოხდეს ორიენტირების შეცვლა. ვფიქრობ, ჩვენ ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. მე ადრეც განვაცხადე და კვლავ გავიმეორებ - **ხვალვე რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დაგვიწესოს ევროპამ, რა გაგაქვს? არსად საქართველოს არ ელიან, მსოფლიოს არც ერთ კუთხეში ქართულ პროდუქციზე მოთხოვნა არ არის. ეს ადგილი მოსაპოვებელია, იმიტომ რომ საერთაშორისო ბაზარი ყალიბდებოდა უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში და თუკი ახალი ვინმე შედიოდა მასში, შედიოდა უმძლავრესი შესაძლებლობებითა და ძალიან დიდი ფინანსებით.** ჩვენ კი რითი შევდივართ ამ ბაზარზე?! მე არაერთხელ მითქვამს და მომიყვანია მაგალითი **დენ სიაო-პინის** კლასიკური გამონათქვამისა – თუკი პოლიტიკურ ასპექტში რაიმეს დათმობა უწევს სახელმწიფოს, ეს შეიძლება გააკეთო მხოლოდ იმისთვის, რომ დაიმკვიდრო ადგილი მსოფლიოს ყველაზე დიდ მოცულობით ბაზრებზე. დენ სიაო-პინი გენიოსი იყო და შესანიშნავად იცოდა, სად გადიოდა ქვეყნის აღმავლობის ვექტორი. **იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს, საჭიროა არა ევროკავშირისა და ამერიკის მილიარდები, არამედ შრომა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი პროდუქციისა და მომსახურების შექმნას, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მოცულობით ბაზრებზე დაიმკვიდრებს ადგილს. რუსეთი ასეთი მოცულობითი ბაზარია, დროებით ის დაიკარგა, ახლა უნდა ვიფიქროთ სხვა ბაზრებზე, მაგრამ ვიმეორებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეისთვის გასატანი ბევრი არაფერი გვაქვს. ამიტომ აღფრთოვანება იმით, რომ ევროპის ბაზარი ღია იქნება, არას გვარგებს, რადგან ევროპის ბაზარი ჩვენთვის აქამდეც საკმაოდ ღია იყო, არსებობდა პრეფერენციების, შეღავათების ძალიან კარგი სისტემა და ჩვენ შეგვეძლო ამის გამოყენება, მაგრამ აქამდე ეს შეღავათები ვერაფერში გამოვიყენეთ.** ამიტომ აღფრთოვანება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობით არაფერს გვარგებს. თავისუფალი ვაჭრობა გამოიწვევს იმას, რომ არაკონკურენტული ეკონომიკის ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება შეიძლება საერთოდ არარენტაბელური გახდეს და ის უკანასკნელი წერტილებიც ჩაკვდეს, რომლებიც რეალურად შეიძლებოდა ფეხზე დაგვეყენებინა.

„ბ.პ.“: – როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება იმ 2 მილიარდამდე დოლარის დახმარების მიზანმიმართული და გონივრული განკარგვის გარანტი (იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში აქამდეც უამრავი ფული შემოსულა, მაგრამ არავის გაუგია, რას მოხმარდა), ვინ გააკონტროლებს იმას, რომ ეს თანხა ქართული ეკონომიკისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მოხმარდება?

დ.გ: – რაც შეხება დახმარებების განკარგვის საკითხს, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა შემოვა, ვინ გამოყოფს და რისთვის ამ თანხას, რა არხებით მოხვდება ის საქართველოში, შემოვა ის სახელმწიფო არხებით, თუ ეს იქნება გარკვეული დონორი ორგანიზაციების მიერ საკუთრივ განხორციელებული პროექტები. მხოლოდ ამ დეტალების დაზუსტების შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ კონკრეტულად. თუ ეს თანხა სახელისუფლებო არხებით შემოვა, ბუნებრივია ის ბიუჯეტში უნდა აისახოს და ბიუჯეტის კონტროლის ერთი კონსტიტუციური მექანიზმი გვაქვს — კონტროლის პალატა, რომელიც უბრალოდ აღარ არსებობს, რადგან 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი აჩრდილიც კი აღარ არის იმ პალატისა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად ახერხებდა საბიუჯეტო თანხების კონტროლს და მისი მონაცემები პოლიტიკოსებსა და მთავრობას შეეძლოთ გამოეყენებინათ. თუ ეს განხორციელდება სხვადასხვა ფორმის დახმარებებით, მაშინ კონტროლის მექანიზმები მოსაფიქრებელია, თუკი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ დაუშვა მისი რეალური კონტროლი. გამოცდილების თვალსაზრისით, დღეს საქართველოში ნებისმიერი დონის ფინანსური ოპერაციის გაკონტროლების არანაირი პრობლემა არ არსებობს, მათ შორის მატერიალური ფასეულობებისაც. მთავარია (თუკი ასეთი მაკონტროლებელი ორგანო და ხალხი იქნა საჭირო), მთავრობის მიერ იქნას ეს დაშვებული, თორემ ჩინოვნიკი როგორც საქართველოში, ისე სხვაგან, ერთნაირად იქცევა — თუ არ არსებობს საკმარისი კონტროლი და გამჭვირვალობა, იგი ამას საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ, რომ ამ საკმაოდ დიდი თანხიდან ჩინოვნიკების ხელში არაფერი მოხვდეს, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

„ბ.პ.“: – და ბოლოს, როგორია თქვენი საიმედო პროგნოზი?

დ.გ.: – მე არ ვფიქრობ, რომ დღევანდელ სიტუაციას რაღაც პროგნოზები სჭირდებოდეს. მთავარია, რამდენად ადეკვატური იქნება საქართველოში არსებული რეალურობის აღქმა. რამდენად მოახერხებს საზოგადოება, თავის მხრივ, და პოლიტიკოსები იმის საღად გააზრებას, თუ რა მოხდა და სად აღმოვჩნდით. თუ ჩვენ ვიქნებით იმ ილუზიების ტყვეობაში, რომ ხვალ სოჭს დავიბრუნებთ და ზეგ აფხაზეთს, მაშინ შეიძლება ისეთ გამოუსწორებელ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომ საკუთარი ქვეყანაც კი სანატრელი გაგვიხდეს. ამიტომ მე ვისურვებდი არა პროგნოზების კეთებას, არამედ ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკური ძალების არსებულ სიტუაციასთან ადეკვატურობას, რამეთუ სიტუაცია ძალიან მძიმე და რთულია და აქ მარტივი გადაწყვეტილებები საკმარისი არ იქნება.